3-6 წლამდე, ტიპური განვითარების მქონე, ბავშვებში ორალ-მოტორული და სენსორული კითხვარის ქართული ვერსიის თარგმანი და კულტურული ადაპტაცია

სოფიო გუნაშვილი

კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2024

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო გუნაშვილი

20 ივნისი 2024 წელი

აბსტრაქტი

კვება არის პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზმს ეძლევა შესაძლებლობა, შეითვისოს და მოიხმაროს ის საკვები ნივთიერებები, რაც აუცილებელია მისი ზრდის, განვითარებისა და პრაქტიკულად სიცოცხლისათვის

იმისათვის, რომ ადამიანები კარგად და სწორად იკვებონ, აუცილებელია ჯანსაღი კვების რეჟიმის დაცვა. ჯანსაღი კვება კი, თავის მხრივ, გულისხმობს საკვების მრავალფეროვნებას, რადგან ორგანიზმისათვის აუცილებელი სუბსტანცია სწორედ საკვები პროდუქტების შემადგენელი ნივთიერებები.

კვების განხილვისას უმეტესად მოიაზრებენ - ორალ-მოტორულ უნარებს, სენსორულ გადამუშავებას, საკვების არჩევითობას, ქცევასა და დიაგნოზს,

ორალ-მოტორული და სენსორული შეფასების კითხვარი **(Child - Oral Sensori-Motor Evaluation Questionnaire)** არის ანგარიშის ფორმა, რომელიც შეივსო კვებაზე მომუშავე სპეციალისტების და ტიპური განვითარების მქონე 3-6 წლის ასაკის ბავშვთა, მშობლების მიერ, ის ითარგმნა ქართულ ენაზე და ადაპტირდა კულტურულ თავისებურებებზე.

კვლევა მიზნად ისახავდა კიდევ ერთი ქართულენოვანი კვების შეფასების კითხვარის შექმნას, რომელიც მშობლებს და სპეციალისტებს მიეხმარება კვების დარღვევის განსაზღვრაში. კვლევაში მონაწილეობდა რუსთავის 4 საჯარო საბავშო ბაღი, 75 ტიპური ბავშვი, რომელთა ასაკობრივი კატეგორია იყო 3-6 წელი და მათი მშობლები. თითოეული ასაკობრივი კატეგორია მოიცავდა 25 მონაწილეს .

მშობლების მიერ ხელი მოეწერა ინფორმირებულ თანხმობას კვლევაში მონაწილეობისთვის, ასევე შეავსეს დემოგრფიული მონაცემები. ბავშვების პირველადი შეფასება მოხდა ASQ-ს(ასაკი და საფეხურების კითხვარი) სკრინერის გამოყენებით, ტიპურობის დასამტკიცებლად. შეფასებას აწარმოებდა მკვლეარი. ამის შემდეგ მშობელთან ერთად მოხდა ბავშვის **ორალ-მოტორული და სენსორული შეფასების კითხვარი-ის (Child - Oral Sensori-Motor Evaluation Questionnaire)** შევსება.

დასკვნა კვლევამ ცხადყო, რომ ორალ-მოტორული და სენსორული შეფასების კითხვარი (Child - Oral Sensori-Motor Evaluation Questionnaire), არის სკრინინგ კითხვარი, რომელიც მშობლებს და სპეციალისტებს მოეხმარება, ტიპურ ბავშვებთან, სენსორული პროფილის და კვების გარემოს შეფასებაში.

საკვანძო სიტყვები: კვების შეფასება, კვებითი დარღვევები, ტიპური ბავშვები, ადრეული ასაკი.

Abstract

Nutrition is a process, when an organism gets a chance to absorb and use the food substances which is necessary for its growing, developing and for being alive.

In order to be well-fed, it is crucial to have a healthy diet regime. Meanwhile, healthy diet means variety of food since food product substances are the most important part for an organism.

While having a discussion about food, there are oral-motor skills, sensor digestion , food options, behavior and diagnosis that must be estimated.

There is a form of oral-sensori motor skills which must be filled by nutrition specialists and by parents of 3-6 years children. It is translated in Georgian and is adapted to cultural peculiarity.

The aim of a research was to create a Georgian language feeding questionnaire form that could help specialists and parents to determine feeding disorder. 4 public nursery schools in Rustavi, 75 children aged 3-6 and there parents took part In the research. Each one of age category included 25 participants.

The agreement form of participation was signed by parents who also filled demographic data. To have an initial assessment for a child to find out the typicality of a child, ASQ was used with help of Skinner.

Assessment was held by a researcher. After that a Child oral-sensori-motor evaluation questionnaire was filled by a parent.

Conclusion: The research made it clear that Child - Oral Sensori-Motor Evaluation Questionnaire is a reliable screening questionnaire which can help specialists and parents to determine in typicality on a child, the sensory profile and feeding environment.

The key words: feeding assessment, feeding disorder, the typicality of a child, early ages.

მადლობა

მადლობას ვუხდი რუსთავის ბაღების გაერთიანებას კვლევაში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევის ხელმძღვანელს, ელენე წკრიალაშვილს, გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის.

მადლობას ვუხდი ყველა მონაწილეს ვინც კვლევაში მიიღო მონაწილეობა.